**„ვამტკიცებ“**

შპს „თელმიკო“-ს
გენერალური დირექტორი

ა.ი. მარკოვი

______________________________

«___» ______________ 2026წ.

**ტექნიკური დავალება**
**შპს „თელმიკო“-ს შესყიდვაზე № 683.26.00030**
**„ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი“**
**შწკპ 2026წ.**

## 1. მომსახურების შესყიდვის მიზანი

ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (იუმს) აუდიტის მომსახურების შესყიდვის მიზანია „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ინფორმაციული უსაფრთხოების შინასამსახურებრივი გამოყენების წესების – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ დადგენილ ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებთან (დანართი 1-ის ჩათვლით) თავსებადობის შეფასება.

## 2. მომსახურების მოწოდების ვადები

**მომსახურების დაწყების თარიღი:** ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში.

**მომსახურების დასრულებისა და აუდიტის საბოლოო ანგარიშის გაგზავნა:** მომსახურების დაწყებიდან არაუმეტეს 6 კვირის განმავლობაში.

## 3. მოთხოვნები სამუშაოების შესრულების მიმართ

**3.1.** აუდიტის ჩატარებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

- საქმის კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით შესრულება;
- მიუკერძოებლობა;
- აუდიტის პროცესში მოსალოდნელი გავლენებისადმი სიმტკიცის გამოჩენა;
- სამართლიანობა (ზუსტი და ჭეშმარიტი ანგარიშგების ვალდებულება);
- აუდიტის ჩატარებისას სათანადო ყურადღება;
- კონფიდენციალურობა (ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა);
- დამოუკიდებლობა (აუდიტის მიუკერძოებლობისა და აუდიტის დასკვნების ობიექტურობის საფუძველი);
- მტკიცებულებებზე ორიენტირებული მიდგომა: აუდიტის სანდო და განმეორებადი დასკვნების მიღების გონივრული მეთოდი;
- რისკზე ორიენტირებული მიდგომა: აუდიტის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს რისკებსა და შესაძლებლობებს.

**3.2.** აუდიტის დასრულების შემდგომ, შემსრულებელმა უნდა წარადგინოს აუდიტის ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- აუდიტის მიზნებს;
- აუდიტის გავრცელების სფეროს;
- აუდიტორთა გუნდის და აუდიტს დაქვემდებარებული ორგანიზაციის მონაწილეებს;
- აუდიტის მეთოდოლოგიას;
- აუდიტის აქტივობების ჩატარების ადგილმდებარეობას, თარიღსა და დროს;
- აუდიტის კრიტერიუმებს;
- აუდიტის აღმოჩენებსა და მათთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს;
- იდენტიფიცირებული ხარვეზების მიერ გამოწვეულ შესაძლო რისკებს კრიტიკულობის მიხედვით;
- პრაქტიკულ რეკომენდაციას იდენტიფიცირებული ხარვეზების დასაფარად.

**3.3.** მოთხოვნები ქვეკონტრაქტორების ჩართვის წესისთვის

ქვეკონტრაქტორების ჩართვა დაუშვებელია.

## 4. მოთხოვნები შესყიდვის მონაწილეებიის მიმართ

დაინტერესებულმა კომპანიებმა, სავალდებულო წესით უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია:

- კომპანიის მიმოხილვა, მათ შორის შესაბამისი გამოცდილება და ექსპერტიზა ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტში;
- აუდიტის მეთოდოლოგიის აღწერა;
- შემოთავაზებული გუნდის შემადგენლობა და ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია/სერტიფიკატები. აუცილებელია აუდიტი ჩატარდეს იმ პირის მიერ ვისზეც გაცემული არის ციფრული მმართველობის სააგენტოს ნებართვა;
- ფასები ნებისმიერი დამატებითი ხარჯების ჩათვლით;
- შემოთავაზებული ვადები და ეტაპები;
- მინიმუმ 3 რეკომენდაცია წარსული კლიენტებისგან (REFERENCE) ;
- ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ გაცემული აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

## 5. მოთხოვნები პერსონალური მონაცემების დაცვასთან მიმართებით

მომსახურების პროცესში შემსრულებელს შესაძლებელია ჰქონდეს წვდომა პერსონალურ მონაცემებთან. აღნიშნულ შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნების შესრულება.

## 6. კონფიდენციალურობა

მიმწოდებელი ვალდებულია არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მომსახურების შესრულების პროცესში და დაკავშირებულია შპს „თელმიკო"-სთან და მის კონტრაგენტებთან, აგრეთვე ნებისმიერი კომერციული, ფინანსური, სამართლებრივი, პერსონალური, ოპერაციული ინფორმაცია, სავაჭრო საიდუმლოება, ნოუ-ჰაუ, შიდა ნორმატიული დოკუმენტები, ინფორმაცია დამკვეთის მიმწოდებელთა შესახებ, ინფორმაცია ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან პოტენციური თანამშრომლობის თაობაზე,

წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების, ინფორმაცია ხარჯების, მოგების, არსებული ან/და დაგეგმილი ბიზნეს-გეგმების შესახებ და მოდელებზე, აგრეთვე ყველა სხვა ინფორმაცია, რომელსაც აქვს შესაბამისი შტამპი ან/და წარწერა კონფიდენციალურობაზე.

**7. მოთხოვნები ანგარიშსწორების მიმართ**

ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით, თანხის გადარიცხვის გზით მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, მიმწოდებლის მიერ სრული დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურა და ორივე მხარის მიერ დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტის (ორიგინალის)) წარდგენის მომენტიდან 30-ე კალენდარულ დღეს, ხოლო თუ გადახდის თარიღი ემთხვევა შაბათ-კვირას, გადახდა ხორციელდება შაბათ-კვირის მომდევნო პირველივე სამუშაო დღეს.

საკონტაქტო პირი:

**ანზორ მეხრიშვილი** მობ: 598 212 007 ელ-ფოსტა: anzor.mekhrishvili@telmico.ge

შეთანხმებულია:

Anzor Mekhrishvili 01002027378

Digitally signed by Anzor Mekhrishvili Date: 2026.07.22 14:02:16

შპს „თელმიკო"-ს
ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი ა. მეხრიშვილი